საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2020 წლის თებერვალი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2020 წლის თებერვლის თვეში.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი

2020 წლის 5 თებერვალს ცვლილება შევიდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, კერძოდ, მისი 26-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„4. ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ, ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პირები ჯარიმდებიან დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ, გარდა ამ კოდექსის 45^1 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.“.

კოდექსს დაემატა შემდეგი შინაარსის 45^1 მუხლი:
„მუხლი 45^1. სათანადო ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების გაუთვალისწინებლობა
1. სათანადო ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების გაუთვალისწინებლობა –
გამოიწვევს დაჯარიმებას 30 000 ლარით.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაჯარიმების შესახებ დადგენილების მიღებასთან ერთად წერილობით აფრთხილებს დამრღვევს მშენებლობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურულ და გეგმარებით ელემენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე და დარღვევის გამოსასწორებლად აძლევს არანაკლებ 30-დღიან ვადას.
3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.
4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაწესები გამოიყენება მშენებლობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურულ და გეგმარებით ელემენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფამდე.“.
იგივე კანონით განისაზღვრა ვალდებულება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს აშენებული და მშენებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების სათანადო ტექნიკური რეგლამენტისა და მისაწვდომობის ეროვნული გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობა. აღნიშნული შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები განისაზღვრა უნივერსალური დიზაინის სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტის ან/და მისაწვდომობის ეროვნული გეგმის მიხედვით. მითითებული ობიექტების აღნიშნულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება განხორციელდება საერთო წესებით.

ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლისა, ამოქმედდება 2020 წლის 12 მაისიდან.
ამ კანონის მე-2 მუხლი ამოქმედდება 2021 წლის 14 ივნისიდან.

კოდექსში შესული ცვლილებების იდენტური ცვლილებები შევიდა ასევე საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში (იხ.საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.019104).

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №17/04

2020 წლის 5 თებერვალს დამტკიცდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების საკითხებს. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიმართ გამოიყენოს სხვადასხვა სახის სანქცია, მათ შორის, დააკისროს ამ წესით დადგენილი ფულადი ჯარიმები, თუ ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა ან/და ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ფილიალმა დაარღვია აღნიშნულ წესში ჩამოთვლილი სხვადასხვა მოთხოვნები, მითითებები, სამართლებრივი აქტები და მისთ.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2020 წლის 11 თებერვალს ცვლილება შევიდა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული „დროებით შემოტანის პროცედურის შესახებ“ ინსტრუქციაში. კერძოდ, მის მე-3 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის „რ“ ქვეპუნქტი: „რ) სეს ესნ-ის 9504 30 სუბპოზიციით გათვალისწინებული სათამაშო აპარატები.“ ცვლილებით აიკრძალა აღნიშნული დასახელების სათამაშო აპარატების საქართველოს ტერიტორიაზე დროებით შემოტანა.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.
ამ ბრძანების ამოქმედებამდე დროებით შემოტანის პროცედურაში/დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ სეს ესნ-ის 9504 30 სუბპოზიციით გათვალისწინებულ სათამაშო აპარატებზე ამ ბრძანების პირველი მუხლის მოქმედება არ გავრცელდება შესაბამისი საბაჟო დეკლარაციით განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №26/04

2020 წლის 26 თებერვალს ცვლილება შევიდა „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანებაში. კერძოდ, პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„2. ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შემდეგ მეწარმე სუბიექტი ვალდებულია პუნქტში/ფილიალში განახორციელოს მხოლოდ ნაღდი ფულის გადაცვლის ოპერაციები, როგორც საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა, გარდა კომერციული ბანკისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, სესხის გამცემი სუბიექტისა – ამ მუხლის 2

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

[1] პუნქტის საფუძველზე, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის აგენტისა – ამ მუხლის 2 [2] პუნქტის საფუძველზე და ამ წესით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.";

2[1] პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 2[2] პუნქტი:

„2[2]. პუნქტი უფლებამოსილია განახორციელოს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ[8]" ქვეპუნქტით განსაზღვრული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის აგენტის ფუნქცია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 28 თებერვლის №29/04 ბრძანებით დამტკიცებული „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის" მე-12-მე-14 მუხლებით საგადახდო მომსახურების პროვაიდერის აგენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით.".

2. მე-5 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც უნდა მიეთითოს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი.".

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge